მწვანე ალტერნატივა

მისამართი: 0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. 27/29, მე-2 სართული
ტელეფონი: (+995 32) 222 38 74 / 229 27 73
ფაქსი: (+995 32) 222 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@greenalt.org

04/09/01-143
13 მარტი, 2014

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს
ბატონ მირიანე ოდიშარიას

ბატონო მირიანე,

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, შპს არემჯი გოლდისათვის მსხვილმასშტაბიანი მიწის სამუშაოების განხორციელებისა და სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად დასკვნის გაცემის საკითხი განსახილველად კვლავ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაუბრუნდა. ამდენად, გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ რამოდენიმე გარემოებაზე, რომელსაც ვიმედოვნებთ, გაითვალისწინებთ საკითხის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას.

როგორც მოგეხსენებათ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია ადმინისტრაციული საქმე #3/3877-13 ასოციაცია მწვანე ალტერნატივას სარჩელის გამო, მოპასუხეების საქართველოს მთავრობის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიმართ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანების, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 03 ოქტომბრის #1430 განკარგულების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს #03/130 ბრძანების, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 ოქტომბრის #1436 განკარგულების ბათილად ცნობის თაობაზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29.1 მუხლის თანახმად, სარჩელის მიღება სასამართლოში აჩერებს გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედებას. ამასთანავე, სასამართლოს განჩინებაში (გთხოვთ, იხილოთ თანდართული) არ არის რაიმე სახის მითითება ამ ნორმიდან გამონაკლისის დაშვების თაობაზე. შესაბამისად, გასაჩივრებული აქტების, მათ შორის - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანება, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართის რიგითი №2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი) - მოქმედება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, სარჩელის წარმოებაში მიღების დღიდან შეჩერებულია, რაც ნიშნავს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანების გამოცემამდე არსებული მდგომარეობის, ანუ იმ მდგომარეობის აღდგენას, როდესაც სამართლებრივად საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართის რიგითი №2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი) „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველეს ოქროს მაღაროს" კვლავ გააჩნია კულტურის ძეგლის სტატუსი.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო არ არ არის უფლებამოსილი არათუ დააკმაყოფილოს შპს არემჯი გოლდის მოთხოვნა საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს ტერიტორიაზე კარიერის დამუშავებისა და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სამუშაოებისათვის დადებითი დასკვნის გაცემის თაობაზე, არამედ სამინისტრო დაარღვევს კანონის მოთხოვნას საკითხის განხილვითაც კი.

ვიმედოვნებთ, რომ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო პასუხისმგებლობით მოეკიდება საკითხს და დაელოდება სასამართლოს გადაწყვეტილებას სადაოდ გამხდარი აქტების კანონიერების თაობაზე.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე

აღმასრულებელი დირექტორი